

შპს “კმპ”

ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შპს “კმპ“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 1-3

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....4

მოგება / (ზარალისა) და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....5

ფულადი ნაკადების მოქრობის ანგარიშგება6

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება.....7

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები..... 8-19

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „კმპ“-ს ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „კმპ“-ის (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

კომპანიის აუდიტორებად დავინიშნეთ 2020 წლის 24 აგვისტოს, შესაბამისად, ვერ დავაკვირდით 2019 წლის დასაწყისში და ბოლოს კომპანიის მიერ ჩატარებულ მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციას. აღნიშნულიდან გამომდინარე ვერ დავადასტურეთ 2019 წლის 31 დეკემბრის, 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1 იანვრისათვის არსებული მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების რაოდენობის სისწორე, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული იყო შესაბამისად 477,207 ლარის, 562,022 ლარის და 530,954 ლარის ღირებულებით. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, ვერ შევძელით იმის დადგენა, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ ან აღურიცხავ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებთან დაკავშირებით, აგრეთვე სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების ელემენტებში.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასსების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობით ვართ კომპანიისგან იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს, გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა გარემოებათა ამსახველი აბზაცი

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა როგორც მსს ფასს-ებით მომზადებული პირველი ფინანსური ანგარიშგება.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს აქვს თუ არა კომპანიას უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

30 სექტემბერი 2020

შპს „ინოქსი“

ირაკლი ჭილაძე

გარიგების პარტნიორი

■ დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

30 სექტემბერი 2020

შპს „ინოქსი“



ირაკლი ჭილაძე

გარიგების პარტნიორი



შპს „კმპ“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	01 იანვარი 2018
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	3	70,794	110,424	105,349
სულ გრძელვადიანი აქტივები		70,794	110,424	105,349
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	4	1,136,131	624,295	184,622
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	5	344,786	353,511	566,756
მიმდინარე სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	6	477,207	562,022	530,954
საგადასახადო აქტივები	7	147,299	138,033	30,793
სულ მოკლევადიანი აქტივები		2,105,423	1,677,861	1,313,125
სულ აქტივები		2,176,217	1,788,285	1,418,474
საკუთარი კაპიტალი				
საკუთარი კაპიტალი		200	200	200
გაუნაწილებელი მოგება		1,887,879	1,559,384	1,275,509
სულ საკუთარი კაპიტალი	8	1,888,079	1,559,584	1,275,709
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9	288,138	228,701	142,765
სულ ვალდებულებები		288,138	228,701	142,765
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		2,176,217	1,788,285	1,418,474

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 30 სექტემბერს.

გიორგი სხულუხია

ფინანსური დირექტორი

შპს „კმპ“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	01 იანვარი 2018
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	3	70,794	110,424	105,349
სულ გრძელვადიანი აქტივები		70,794	110,424	105,349
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	4	1,136,131	624,295	184,622
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	5	344,786	353,511	566,756
მიმდინარე სასაქონლო მატერიალური	6	477,207	562,022	530,954
ფასეულობები				
საგადასახადო აქტივები	7	147,299	138,033	30,793
სულ მოკლევადიანი აქტივები		2,105,423	1,677,861	1,313,125
სულ აქტივები		2,176,217	1,788,285	1,418,474
საკუთარი კაპიტალი				
საკუთარი კაპიტალი		200	200	200
გაუნაწილებელი მოგება		1,887,879	1,559,384	1,275,509
სულ საკუთარი კაპიტალი	8	1,888,079	1,559,584	1,275,709
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი	9	288,138	228,701	142,765
ვალდებულებები				
სულ ვალდებულებები		288,138	228,701	142,765
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		2,176,217	1,788,285	1,418,474

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 30 სექტემბერს.

გორგი სხულუხია
ფინანსური დირექტორი



შპს „კმპ“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

მოგება / (ზარალისა) და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2019	2018
ამონაგები		15,550,025	16,999,415
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(13,903,922)	(15,279,460)
საერთო მოგება	10	1,646,103	1,719,955
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	11	(867,435)	(826,340)
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება	5	(41,190)	(162,927)
წმინდა ფინანსური შემოსავალი / (ხარჯი)	12	5,573	(161)
წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	13	156,294	78,443
მოგება გადასახადით დაბეგვრამდე		899,345	808,970
მოგების გადასახადის ხარჯი	14	(82,797)	-
წლის წმინდა მოგება		816,548	808,970
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		816,548	808,970

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 30 სექტემბერს.

გიორგი სხულუხია

ფინანსური დირექტორი

შპს „კმპ“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

მოგება / (ზარალისა) და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2019	2018
ამონაგები		15,550,025	16,999,415
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(13,903,922)	(15,279,460)
საერთო მოგება	10	1,646,103	1,719,955
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	11	(867,435)	(826,340)
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება	5	(41,190)	(162,927)
წმინდა ფინანსური შემოსავალი / (ხარჯი)	12	5,573	(161)
წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	13	156,294	78,443
მოგება გადასახადით დაბეგრამდე		899,345	808,970
მოგების გადასახადის ხარჯი	14	(82,797)	-
წლის წმინდა მოგება		816,548	808,970
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		816,548	808,970

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 30 სექტემბერს.

გეორგი სხულუხია
ფინანსური დირექტორი



შპს „კმპ“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

	შენიშვნა	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის მოგება		816,548	808,970
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	3	16,942	20,162
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	3 / 13	28,584	-
მომწოდებლიდან მიღებული რაოდენობრივი ფასდაკლება	13	(184,894)	(78,646)
სავაჭრო მოთხოვნების ჩამოწერა	5	-	139,603
ცვლილება გაუფასურების ანარიცხში	5	41,190	23,324
წმინდა (მოგება) / ზარალი უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და გადაფასებიდან	12	-	161
საპროცენტო შემოსავალი	4 / 12	(5,573)	-
მოგების გადასახადის ხარჯი	14	82,797	-
საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილება:			
ცვლილება მიმდინარე სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში		84,815	(31,068)
ცვლილება საგადასახადო აქტივებში		(9,266)	(107,240)
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოკლევადიან მოთხოვნებში		(32,465)	50,318
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოკლევადიან ვალდებულებებში		244,331	164,582
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		1,082,582	990,166
მიღებული პროცენტი	4 / 12	5,573	-
გადახდილი მოგების გადასახადი	14	(82,797)	-
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		1,005,358	990,166
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	3	(5,469)	(25,237)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		(5,469)	(25,237)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
გადახდილი დივიდენდები	8	(488,053)	(525,095)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		(488,053)	(525,095)
ნაშთი წლის დასაწყისში		624,295	184,622
წმინდა ზრდა/(კლება) წლის განმავლობაში		511,836	439,834
წმინდა მოგება / (ზარალი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და გადაფასებიდან	12	-	(161)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს		1,136,131	624,295

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 30 სექტემბერს.

გიორგი სხულუხია

ფინანსური დირექტორი

შპს „კმპ“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

	შენიშვნა	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის მოგება		816,548	808,970
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	3	16,942	20,162
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	3 / 13	28,584	-
მომწოდებლიდან მიღებული რაოდენობრივი ფასდაკლება	13	(184,894)	(78,646)
სავაჭრო მოთხოვნების ჩამოწერა	5	-	139,603
ცვლილება გაუფასურების ანარიცხში	5	41,190	23,324
წმინდა (მოგება) / ზარალი უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და გადაფასებიდან	12	-	161
საპროცენტო შემოსავალი	4 / 12	(5,573)	-
მოგების გადასახადის ხარჯი	14	82,797	-
საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილება:			
ცვლილება მიმდინარე სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში		84,815	(31,068)
ცვლილება საგადასახადო აქტივებში		(9,266)	(107,240)
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოკლევადიან მოთხოვნებში		(32,465)	50,318
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოკლევადიან ვალდებულებებში		244,331	164,582
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		1,082,582	990,166
მიღებული პროცენტი	4 / 12	5,573	-
გადახდილი მოგების გადასახადი	14	(82,797)	-
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		1,005,358	990,166
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	3	(5,469)	(25,237)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		(5,469)	(25,237)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
გადახდილი დივიდენდები	8	(488,053)	(525,095)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		(488,053)	(525,095)
ნაშთი წლის დასაწყისში		624,295	184,622
წმინდა ზრდა / (კლება) წლის განმავლობაში		511,836	439,834
წმინდა მოგება / (ზარალი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და გადაფასებიდან	12	-	(161)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს		1,136,131	624,295

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 30 სექტემბერს.

გიორგი სხულუხია
ფინანსური დირექტორი



შპს „კმპ“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს	200	1,275,509	1,275,709
წლის მოგება	-	808,970	808,970
წლის სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	808,970	808,970
გადახდილი დივიდენდები	-	(525,095)	(525,095)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	200	1,559,384	1,559,584
წლის მოგება	-	816,548	816,548
წლის სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	816,548	816,548
გადახდილი დივიდენდები	-	(488,053)	(488,053)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	200	1,887,879	1,888,079

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 30 სექტემბერს.

გიორგი სხულუხია

ფინანსური დირექტორი

შპს „კმპ“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	საწყესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს	200	1,275,509	1,275,709
წლის მოგება	-	808,970	808,970
წლის სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	808,970	808,970
გადახდილი დივიდენდები	-	(525,095)	(525,095)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	200	1,559,384	1,559,584
წლის მოგება	-	816,548	816,548
წლის სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	816,548	816,548
გადახდილი დივიდენდები	-	(488,053)	(488,053)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	200	1,887,879	1,888,079

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 30 სექტემბერს.

გიორგი სხულუხია
ფინანსური დირექტორი



შინაარსი

1. ზოგადი ინფორმაცია	9
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა	9
3. ძირითადი საშუალებები.....	14
4. ფული და ფულის ექვივალენტები.....	15
5. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	15
6. მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები	16
7. საგადასახადო აქტივები	16
8. საკუთარი კაპიტალი	16
9. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	16
10. მთლიანი მოგება	16
11. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	17
12. წმინდა ფინანსური შემოსავალი / (ხარჯი)	17
13. წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	17
14. მოგების გადასახადი	17
15. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	18
16. ფინანსური ანგარიშგების საერთოდ სტანდარტებზე გადასვლა	18
17. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ	19

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1 ზოგადი ინფორმაცია

შპს „კმპ“ წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაარსდა 2009 წლის 13 ნოემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სახელწოდებით შპს „ელ & დე +“. სახელწოდების ცვლილება მოხდა 2016 წლის 9 ივნისს სახელწოდებით შპს „კმპ“. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ.თბილისი თაბუკაშვილის ქ # 28

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა: საბითუმო ვაჭრობა სამშენებლო მასალებით (46732).

კომპანიის დამატებითი საქმიანობაა: საცალო ვაჭრობა რკინაკაველით და საღებავებით (47520).

კომპანიის წილი 2019 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადანაწილებულია შემდეგნაირად:

ალექსეი ბუბუტეიშვილი (პ/ნ 10001011243) - 100% წილის მფლობელი.

2019 წლის დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დასაქმებულთა საშუალო რაოდენობაა - 34 (2018 - 40).

2 ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში “მსს ფასს”), რაც ასახავს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს საფუძველზე.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება კომპანიის პირველი წლიური ფინანსური ანგარიშგებაა, რომელიც შესაბამისობაშია მსს ფასს-თან და მოიცავს შესადარის ინფორმაციას. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტმა გამოიყენა მსს ფასს, ფაქტებისა და გარემოებების საუკეთესო გამოცდილება.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს გამოყენებული მნიშვნელოვანი საბუღალტრო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია ქვემოთ არის წარმოდგენილი. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად იქნა (იქნება) გამოყენებული ყველა პერიოდის მიმართ, თუკი სხვაგვარად არ არის განსაზღვრული.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად მოითხოვს გარკვეული კრიტიკული საბუღალტრო შეფასებების გამოყენებას. იგი ასევე მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან მსჯელობას კომპანიის საბუღალტრო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. საკითხები, რომლებშიც ასახულია ფინანსური ანგარიშგებისთვის მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები და რომლებიც საჭიროებენ მაღალი დონის მსჯელობას და კომპლექსურ მიდგომებს, ამავე (მე-2) განმარტებით შენიშვნაში.

საქმიანობის უწყვეტობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. მენეჯმენტისთვის არ არის ცნობილი რაიმე განუსაზღვრელობა, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას კომპანიის საქმიანობის უწყვეტობას. მენეჯმენტს სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვის.

სააღრიცხვო პოლიტიკა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანიას სამუშაო ვალუტაა ლარი, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც კომპანია ეწევა საქმიანობას. უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება საანგარიშგებო თარიღში ხორციელდება ამ თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. არამონეტარული აქტივები

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

და ვალდებულებები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ გადაფასდება. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსები საანგარიშგებო პერიოდში:

	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2019 წლის 31 დეკემბერს	2.8677	3.2095
გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბერს	2.6766	3.0701
გაცვლითი კურსი 2018 წლის 1 იანვარს	2.5922	3.1044

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებსა და სხვა მოკლევადიან ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას თავდაპირველად აღიარებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს გარიგების ფასით. კომპანია ფინანსურ აქტივებს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით, როდესაც კომპანია მას მიიღებს და მისი აღიარების შეწყვეტა ხდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას გაასხვისებს. ფინანსური აქტივების შემდგომი აღრიცხვა დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებს გაუფასურებაზე. კომპანია აფასებს ხომ არ დადგა თავდაპირველი აღიარების შემდეგ ერთი ან მეტი გარემოება, რომელსაც გავლენა ექნებოდა ფინანსური აქტივის (აქტივთა ჯგუფის) თავდაპირველად გამოთვლილ სამომავლო ფულად ნაკადებზე.

კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც სახელშეკრულებო უფლებები აქტივისგან წარმომდგარ ფულად ნაკადებზე იწურება, ან ეს უფლება ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემა მეორე პირს ყველანაირ რისკთან და საკუთრების უფლებასთან ერთად. გადაცემული ფინანსური აქტივიდან წარმოქმნილი ნებისმიერი სარგებელი კომპანიის მიერ აღიარდება როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები თავდაპირველი აღიარების დროს აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და საშუალო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, თვითღირებულებიდან გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და/ან გაუფასურების შედეგად აღრიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში გაშვება. კომპანიის საკუთრებაში არსებულ მიწას ცვეთა არ ერიცხება. ცვეთის დარიცხვა ხდება შემცირებადი ნაშთის მეთოდით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

	პროცენტი
მანქანა-დანადგარები	15%-40%
ოფისის აღჭურვილობა	15%-40%
ავეჯი და სხვა ინვენტარი	15%-40%
ტრანსპორტი	15%-20%
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	15%

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გაუფასურების შეფასება ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შესაძლოა ვერ მოხერხდეს. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში. შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები აღირიცხება წარმოშობისას და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში თუ ისინი არ ექვემდებარება კაპიტალიზაციას.

ამა თუ იმ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება მოგებაში ან ზარალში სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალში/ხარჯში იმ პერიოდისთვის, რომლის განმავლობაშიც მოხდა აქტივის აღიარების შეწყვეტა.

მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების ფასდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

კომპანიის მფლობელობაში არსებული სასაქონლო-მატერიალური მარაგები ძირითადად შედგება გასაყიდად გამიზნული სამშენებლო მასალებისგან.

სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით და მოიცავს სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეძენაზე გაწეულ დანახარჯებს, გადამუშავების დანახარჯებს და ამჟამინდელ მდგომარეობამდე სასაქონლო-მატერიალური მარაგების მისაყვანად გაწეულ ხარჯებს. ნებისმიერი გაუფასურების ზარალის გამოვლენის მიზნით, ყოველწლიურად ხდება არალიკვიდურ მარაგების იდენტიფიკაცია, მოძველებული ერთეულების არსებობის შემთხვევაში, ჩამოიწერება სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურების რეზერვის ანგარიშის მეშვეობით.

საგადასახადო აქტივები / საგადასახადო ვალდებულებები

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

საქართველოს საგადასახადო კანოკმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის საგადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2019 წლის დეკემბრის, 2018 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს დანეტებულიად.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

მოგების გადასახადი

საქართველოში კომპანიების წლიური მოგება, ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და სადაზღვევო კომპანიების გარდა, არ იბეგრება 2017 წლის 1 იანვრიდან. მოგების გადასახადით იბეგრება იმ აქციონერებს შორის დივიდენდის სახით განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან საქართველოს არარეზიდენტები, წმინდა განაწილების თანხიდან 15/85 ოდენობით. მოგების გადასახადი, დივიდენდების გადახდის შედეგად, აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით დივიდენდის გამოცხადების პერიოდში.

კაპიტალი

მფლობელთა კაპიტალი განისაზღვრება დამფუძნებლების გადაწყვეტილებით. აღიარებაც ხდება სამართლიანი ღირებულებით შენატანის განხორციელების მომენტში, როგორც კომპანიაში დამფუძნებლის შენატანი.

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხორციელდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის შემოდინება კომპანიაში, ამასთან შემოსავლის შეფასება შესაძლებელია რეალურად, მიუხედავად იმისა როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან შეიძლება აღიარდეს, მაშინ როდესაც: კომპანიამ მიაწოდა მყიდველს საქონელი და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი მყიდველზე გადავიდა; კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი; ტრანზაქციასთან დაკავშირებული ხარჯები საიმედოდ იქნეს შეფასებული. შემოსავლების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

კომპანიის სხვა ფინანსურ შემოსავალს წარმოადგენს საპროცენტო შემოსავალი საქართველოს კომერციულ ბანკებში განთავსებული დეპოზიტებიდან. კომპანია შემოსავალს აღიარებს იმ პერიოდის შესაბამისად, რა პერიოდშიც ხდება შემოსავლის მიღება და ასახავს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ გადაწყვეტილებებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარმოდგენილი შემოსავლის, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე. ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტირებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

შეფასებები და დაშვებები

ანგარიშგების თარიღის მდგომარეობით ძირითადი დაშვებები, რომლებმაც შეიძლება მომდევნო ფინანსურ წელს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში მნიშვნელოვანი კორექტივები განაპირობოს, მოცემულია ქვემოთ.

კომპანიამ თავისი დაშვებებისა და შეფასებების საფუძვლად გამოიყენა ის ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს. თუმცა არსებული გარემოებები და დაშვებები მომავალ მოვლენებთან დაკავშირებით შეიძლება შეიცვალოს ბაზარზე ან გარემოებებში ისეთი ცვლილებების გამო, რომლებიც არ ექვემდებარება კომპანიის კონტროლს. ასეთი ცვლილებები აისახება მათი დადგომისთანავე.

საგადასახადო კანონმდებლობა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობა ხშირად იცვლება და სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ამასთანავე, საგადასახადო ორგანოების მიერ კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა ინტერპრეტაცია შეიძლება არ ემთხვეოდეს კომპანიის ხელმძღვანელობის ინტერპრეტაციებს. ამის გამო საგადასახადო ორგანოებმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენონ გარიგებები და კომპანიას დააკისრონ მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. საგადასახადო ორგანოებს უფლება აქვთ, საგადასახადო კუთხით შემოწმონ კომპანიის საქმიანობა წინა სამი კალენდარული წლის განმავლობაში. ზოგ შემთხვევაში შემოწმებამ შეიძლება უფრო დიდი პერიოდის მოიცვას. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მისეული განმარტება ჭეროვანია და რომ კომპანიის საგადასახადო პოზიციებთან დაკავშირებული მონაცემები უცვლელი დარჩება.

ძირითადი საშუალებები

კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. საანგარიშგებო წლის განმავლობაში კომპანიას არ შეუცვლია თავისი ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

3 ძირითადი საშუალებები

	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავტო და სხვა ინვენტარი	ტრანსპორტი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
ისტორიული ღირებულება						
ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს	21,686	26,892	5,765	67,566	51,982	173,891
შეძენა	-	2,070	47	22,863	257	25,237
გასვლა	-	-	-	-	-	-
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	21,686	28,962	5,812	90,429	52,239	199,128
შეძენა	-	2,992	1,195	-	1,282	5,469
გასვლა	-	-	-	-	(45,022)	(45,022)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	21,686	31,954	7,007	90,429	8,499	159,575
დაგროვილი ცვეთა						
ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს	(5,266)	(13,368)	(1,040)	(34,735)	(14,133)	(68,542)
წლიური ცვეთა	(2,610)	(2,888)	(840)	(8,329)	(5,495)	(20,162)
გასვლაზე ელიმინირებული ცვეთა	-	-	-	-	-	-
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს	(7,876)	(16,256)	(1,880)	(43,064)	(19,628)	(88,704)
წლიური ცვეთა	(2,094)	(2,836)	(665)	(8,918)	(2,002)	(16,515)
გასვლაზე ელიმინირებული ცვეთა	-	-	-	-	16,438	16,438
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	(9,970)	(19,092)	(2,545)	(51,982)	(5,192)	(88,781)
ნარჩენი ღირებულება						
2018 წლის 1 იანვარი	16,420	13,524	4,725	32,831	37,849	105,349
2018 წლის 31 დეკემბერი	13,810	12,706	3,932	47,365	32,611	110,424
2019 წლის 31 დეკემბერი	11,716	12,862	4,462	38,447	3,307	70,794

2019 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფლობს 9,952 ლარის ღირებულების სრულად ამორტიზირებულ ძირითად საშუალებებს.

2019 წელს კომპანიამ საიჯარო ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველზე ჩამოწერა 28,584 ლარის ღირებულების ძირითადი საშუალებები.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

4 ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიას ფული და ფულის ექვივალენტები შედგება ქართულ ბანკებში მიმდინარე და სადეპოზიტო ანგარიშებზე განთავსებული თანხებისგან და სალაროში არსებული თანხებისაგან.

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	01 იანვარი 2018
ნაღდი ფული სალაროში	11,426	38,999	415
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	819,126	585,289	184,201
რეზიდენტ ბანკში განთავსებული დეპოზიტი	305,579	7	6
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	1,136,131	624,295	184,622

კომპანიას აქვს განთავსებული მოკლევადიანი დეპოზიტი სს „საქართველოს ბანკში“, რომელსაც ერიცხება წლიური 2%-იანი სარგებელი. 2019 წლის განმავლობაში მიღებულმა და რეალიზებულმა საპროცენტო შემოსავალმა შეადგინა 5,573 ლარი.

5 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	01 იანვარი 2018
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	399,560	385,190	574,108
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	2,723	912	-
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	19,182	2,898	4,813
სულ სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	421,465	389,000	578,921
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი	(76,679)	(35,489)	(12,165)
სულ სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები გაუფასურების შემდეგ	344,786	353,511	566,756

2018 წელს კომპანიამ ჩამოწერა 139,603 ლარის ღირებულების მოთხოვნები შპს უნიშენის (205035932) მიმართ აღნიშნული კომპანიის რეგისტრაციის გაუქმების გამო.

კომპანია პერიოდულად აფასებს სავაჭრო მოთხოვნების საკრედიტო რისკს და ინდივიდუალური მიდგომის საფუძველზე ქმნის სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხს.

სავაჭრო მოთხოვნების ანარიცხის მოძრაობას წლების მიხედვით აქვს შემდეგი სახე:

ნაშთი 2018 წლის 01 იანვრის მდგომარეობით	12,165
დარიცხვა	23,324
აღდგენა	-
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	35,489
დარიცხვა	51,347
აღდგენა	(10,157)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	76,679

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

6 მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	01 იანვარი 2018
საქონელი	474,393	558,204	530,326
მზა პროდუქცია	18	218	118
სხვა საწარმოო მარაგი	2,796	3,600	510
სულ მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	477,207	562,022	530,954

7 საგადასახადო აქტივები

2016 წლის 1 იანვრიდან შემოსავლების სამსახურის ერთიან ელექტრონულ საინფორმაციო ბაზაში თითოეული გადასახადის ჭრილში გახსნილი გადასახადის გადამხდელთა პირადი აღრიცხვის ბარათები გაერთიანდა და აღნიშნული თარიღიდან ყველა გადასახადისათვის არსებობს მხოლოდ ერთიანი გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათი, სადაც აისახება ინფორმაცია ყველა გადასახადის მიხედვით სალდირებულად.

8 საკუთარი კაპიტალი

2019 წლის 31 დეკემბრის, 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 01 იანვრის მდგომარეობით სააქციო კაპიტალი კომპანიაში შეადგენს 200 ლარს.

2019 წელს კომპანიამ გამოაცხადა და გასცა 488,053 ლარის ოდენობის დივიდენდები (2018: 525,095 ლარის).

9 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	01 იანვარი 2018
სავაჭრო ვალდებულებები	282,688	215,791	134,453
საიჯარო ვალდებულებები	1,147	348	316
მიღებული ავანსები	4,303	12,562	7,996
სულ სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	288,138	228,701	142,765

10 მთლიანი მოგება

	2019	2018
შემოსავალი რეალიზაციიდან	15,561,677	17,026,136
გაყიდული საქონლის დაბრუნება და ფასდათმობა	(11,652)	(26,721)
სულ ამონაგები	15,550,025	16,999,415
რეალიზებული მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება	13,915,315	15,303,748
გაყიდული საქონლის დაბრუნება და ფასდათმობა	(11,393)	(24,288)
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	13,903,922	15,279,460

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

მთლიანი მოგება	1,646,103	1,719,955
-----------------------	------------------	------------------

11 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2019	2018
ხელფასის ხარჯი	562,286	549,766
იჯარის ხარჯი	162,635	178,853
ავტომობილის ხარჯი	66,802	47,311
კომუნიკაციის ხარჯი	28,409	15,177
ცვეთის ხარჯი	16,515	20,162
სხვა საერთო ხარჯი	30,788	15,071
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	867,435	826,340

12 წმინდა ფინანსური შემოსავალი / (ხარჯი)

	2019	2018
შემოსულობა სავალუტო ოპერაციებიდან	-	22,368
დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან	-	(22,529)
საპროცენტო შემოსავალი	5,573	-
სულ წმინდა ფინანსური შემოსავალი / (ხარჯი)	5,573	(161)

13 წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)

	2019	2018
არასაოპერაციო შემოსავალი	185,079	78,652
არასაოპერაციო ხარჯი	(28,785)	(209)
სულ წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	156,294	78,443

არასაოპერაციო შემოსავალი 184,894 ლარის ოდენობით წარმოადგენს კომპანიის მთავარი მომწოდებლის, შპს კნაუფ გიპს თბილისის (205181532) მიერ გაცემულ რაოდენობრივ ფასდაკლებას. (2018: 78,646 ლარი)

არასაოპერაციო ხარჯი 28,584 ლარის ოდენობით წარმოადგენს იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველზე ჩამოწერილი ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებას.

14 მოგების გადასახადი

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს საგადასახადო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც ძირითადად ეხება მოგების გადასახადით დაბეგვრას. სხვა დაბეგვრის რეჟიმებთან ერთად, ცვლილებებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი არის ის, რომ დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

2018 საანგარიშგებო წლისთვის კომპანიამ ჩაითვალა გადახდილი მოგების გადასახადი, შესაბამისად, საანგარიშგებო პერიოდისათვის მოგების გადასახადის ხარჯმა შეადგინა 0 ლარი.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 საანგარიშგებო წლისთვის კომპანიამ გაანაწილა მოგება 488,053 ლარის ოდენობით, რომლიდანაც 18,969 ლარზე მიიღო ჩათვლა, ამასთან გასწია არაეკონომიკური ხარჯი 100 ლარის ოდენობით, შესაბამისად, წლის განმავლობაში მოგების გადასახადის ხარჯმა შეადგინა 82,797 ლარი.

15 გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

საბალანსო ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან ნაჩვენებია ქვემოთ:

დაკავშირებული მხარე	კავშირის ტიპი	31-12-2019	31-12-2018	01-01-2018
ალექსეი ბუბუტეიშვილი	100% მფლობელი, დირექტორი	-	-	-
გიორგი სხულუხია	ფინანსური დირექტორი	-	-	-
შპს პროფ სისტემი (404460837)	ალექსეი ბუბუტეიშვილი არის 20% მფლობელი, გიორგი სხულუხია არის დირექტორი	(194,356)	(174,322)	-
შპს ბაუ პროდუქტ ჯორჯია (405128552)	ალექსეი ბუბუტეიშვილი არის 50% მფლობელი	(37,270)	(13,255)	-

ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან ნაჩვენებია ქვემოთ:

დაკავშირებული მხარე	კავშირის ტიპი	ტრანზაქციის ტიპი	2019	2018
ალექსეი ბუბუტეიშვილი	100% მფლობელი, დირექტორი	ანაზღაურება	იხილეთ ქვემოთ	იხილეთ ქვემოთ
გიორგი სხულუხია	ფინანსური დირექტორი	ანაზღაურება	იხილეთ ქვემოთ	იხილეთ ქვემოთ
ალექსეი ბუბუტეიშვილი	100% მფლობელი, დირექტორი	გაცემული დივიდენდი მიმდინარე	488,053	525,095
შპს პროფ სისტემი (404460837)	ალექსეი ბუბუტეიშვილი არის 20% მფლობელი, გიორგი სხულუხია არის დირექტორი	სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეძენა მიმდინარე	1,477,104	1,904,334
შპს ბაუ პროდუქტ ჯორჯია (405128552)	ალექსეი ბუბუტეიშვილი არის 50% მფლობელი	სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეძენა	119,774	118,387

უმაღლესი რანგის მენეჯმენტის ანაზღაურება ნაჩვენებია ქვემოთ:

	2019	2018
სახელფასო ხარჯი	122,847	101,070
სულ უმაღლესი რანგის მენეჯმენტის ანაზღაურება	122,847	101,070

16 ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლა

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის შპს “კმპ” მიერ მომზადებული ფინანსური ანგარიშგება არის პირველი, რომელიც მან მსს ფასს-ების სრული დაცვით მოამზადა. საწყისი ფინანსური მდგომარეობის

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ანგარიშგება მომზადდა 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რაც არის კომპანიის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლის თარიღი.

2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლის შედეგად კომპანიას არ განუხორციელებია არსებითი კორექტირებები.

17 მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 30 სექტემბერს. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი ჰქონდა შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენებს:

2020 წლის 12 მარტს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ (WHO) კორონავირუსი პანდემიად გამოაცხადა. კოვიდ-19 პანდემიამ მნიშვნელოვნად შეაფერხა ეკონომიკური პროცესები, მათ შორის გავლენა იქონია კომპანიის საოპერაციო საქმიანობაზეც, თუმცა მენეჯმენტის შეფასებით, აღნიშნული გავლენა არარსებითია და კომპანიის უნარს, გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, საფრთხე არ ემუქრება.

2020 წლის 19 მაისს ბატონმა ალექსეი ბუბუტეიშვილმა უსასყიდლოდ გადასცა საზოგადოების 100%-იანი წილი ბატონ გურამ ბუბუტეიშვილს.

2020 წლის 19 მაისს კომპანიის დირექტორად დაინიშნა ბატონი გურამ ბუბუტეიშვილი.

2020 წლის განმავლობაში კომპანიამ გამოაცხადა და გასცა 1,111,421 ლარის ოდენობის დივიდენდები.

2020 წლის 16 აპრილს კომპანიამ გააფორმა სადეპოზიტო ხელშეკრულება სს „საქართველოს ბანკთან“, დეპოზიტის მოცულობა შეადგენს 500,000 ლარს, ხოლო საპროცენტო სარგებელი 12,35%-ს.